გადაწყვეტილება

N გ-26-2/161
08/04/2026

161-გ-26-1-4-202604081550

შპს „სმარტნეტის“ მაუწყებლობის ავტორიზაციების მოდიფიცირებისა და კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის №812/1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

განმცხადებელი: შპს “სმარტნეტი”;
კომისიის სხდომის თარიღი: 08.04.2026

I. აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით მიმართა შპს „სმარტნეტმა“ (ს/ნ 402063020) (კომისიაში რეგისტრაციის №შ-26-7/3400, 01/04/2026) მაუწყებლობის ავტორიზაციების (BR-5051, 14/12/2017 და BR-5052, 14/12/2017) მოდიფიცირების შესახებ. კერძოდ, შპს „სმარტნეტს“ სურს ორივე ავტორიზაციაში მაუწყებლობის ენებად დამატებით ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის და რუსულის განსაზღვრა.

2. კომისია აღნიშნავს, რომ შპს „სმარტნეტი“ კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის №812/1 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის თანახმად ფლობს მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაციას (BR-5051, 14/12/2017), შემდეგი საავტორიზაციო პირობებით:
ა) მაუწყებლობის სახე: ტელემაუწყებლობა;
ბ) მაუწყებლობის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
გ) მაუწყებლობის ქვესახეობა: სპეციალიზებული (ამინდის საინფორმაციო არხი) ტელემაუწყებლობა;
დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
ე) მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში: 12 საათი;
ვ) მაუწყებლობის გავრცელების ტექნოლოგია და აღნიშნულის შესაბამისად მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული არეალი: ინტერნეტი (საქართველო);
ზ) მაუწყებლობის დაწყების ვადა: 2018 წლის პირველ აპრილამდე;
თ) მაუწყებლობის ხელმისაწვდომობა: ინტერნეტი - უფასო.

ხოლო კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის №812/1 გადაწყვეტილების მეორე პუნქტის თანახმად ფლობს მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაციას (BR-5052, 14/12/2017), შემდეგი საავტორიზაციო პირობებით:
ა) მაუწყებლობის სახე: რადიომაუწყებლობა;
ბ) მაუწყებლობის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
გ) მაუწყებლობის ქვესახეობა: სპეციალიზებული (გასართობი/მუსიკალური, შემეცნებითი) რადიომაუწყებლობა;

დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
ე) მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში: 12 საათი;
ვ) მაუწყებლობის გავრცელების ტექნოლოგია და აღნიშნულის შესაბამისად მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული არეალი: ინტერნეტი (საქართველო);
ზ) მაუწყებლობის დაწყების ვადა: 2018 წლის პირველ აპრილამდე;
თ) მაუწყებლობის ხელმისაწვდომობა: ინტერნეტი - უფასო.

3. კომისია აღნიშნავს, რომ "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 38^2-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ავტორიზაცია, ავტორიზაციის პირობების მოდიფიცირება და ავტორიზებული პირის ინიციატივით ავტორიზაციის შეჩერება ან გაუქმება ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. ამავე კანონის 45^1 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ ავტორიზებულ პირს განზრახული აქვს ავტორიზებული საქმიანობის, მათ შორის, სახეობის, მოდიფიცირება, ავტორიზებული პირი ვალდებულია აღნიშნული 7 სამუშაო დღით ადრე შეატყობინოს კომისიას. ავტორიზაციის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ავტორიზებული საქმიანობის, მათ შორის, სახეობის, მოდიფიცირების თაობაზე მონაცემები შეიტანება ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში.

4. კომისიის 2026 წლის 8 აპრილის სხდომას არ ესწრებოდა შპს "სმარტნეტის" წარმომადგენელი.

II. სამოტივაციო ნაწილი

5. კომისიის სხდომაზე არ გამოვლენილა მოდიფიცირების დამაბრკოლებელი გარემოება, შესაბამისად ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიას მიაჩნია, რომ უნდა განხორციელდეს შპს „სმატრნეტის" მაუწყებლობის ავტორიზაციების (BR-5051, 14/12/2017 და BR-5052, 14/12/2017) მოდიფიცირება და მაუწყებლობის ენებად დამატებით განისაზღვროს ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული.

III. სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 38^2-ე მუხლის მე-2 და 45^1 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. მოდიფიცირდეს შპს „სმარტნეტის" (ს/ნ 402063020) მაუწყებლობის ავტორიზაცია (BR-5051, 14/12/2017), შევიდეს ცვლილება კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის №812/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული;"

2. მოდიფიცირდეს შპს „სმარტნეტის" (ს/ნ 402063020) მაუწყებლობის ავტორიზაცია (BR-5052, 14/12/2017), შევიდეს ცვლილება კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის №812/1 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული;"

3. შპს „სმარტნეტი" ვალდებულია:
ა) დაიცვას მედიამომსახურების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები, მედიამომსახურების სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში უზრუნველყოს ავტორიზებული საქმიანობის მათთან შესაბამისობა;

ბ) დაიცვას ავტორიზაციის ყველა პირობა, რომლებიც მის საავტორიზაციო განცხადებაშია ასახული;

4. დაევალოს კომისიის იურიდიულ დეპარტამენტს:
ა) სათანადო მონაცემების კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში შეტანა (ნ. ლორთქიფანიძე);
ბ) ამონაწერის გაცემის უზრუნველყოფა (ნ. ლორთქიფანიძე);

5. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ბ. გასვიანი):
ა) აღნიშნული გადაწყვეტილების შპს "სმარტნეტისთვის" გაგზავნა;
ბ) აღნიშნული გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება.

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) შპს "სმარტნეტისთვის" ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

7. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტს (კ. ქორიძე);

9. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებისა) დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

გოგა გულორდავა

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი